



გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 2016 წლის უსაფრთხოების სტრატეგია და საქართველო

მიხეილ სარჯველაძე

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
ანალიზი/ 2016 წლის აგვისტო

სტრატეგიული დოკუმენტები გერმანიის გაერთიანების შემდეგ

Weiβbuch – (სიტყვა-სიტყვით თეთრი წიგნი/დოკუმენტი) გერმანიის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტია, რომელშიც განხილულია ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. დოკუმენტის დანიშნულებაა გერმანიის უსაფრთხოების პოლიტიკისთვის ვექტორების განხილვის გარდა, ბუნდესვერისთვის შეცვლილი მდგომარეობის შესაბამისად ახალი ამოცანების დასახვა. WEISSBUCH-ი გერმანიის გაერთიანების შემდეგ სულ სამჯერ გამოქვეყნდა, 1994, 2006 და 2016 წელს.

პირველი დოკუმენტის გამოქვეყნების საჭიროება შეიქმნა მას შემდეგ, რაც რკინის ფარდა დაეშვა და გერმანია გაერთიანდა. მოულოდნელად გერმანია, ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო და რაც მთავარია გაერთიანებული, ევროპის შუაგულში აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირის დაშლის და ცივი ომის დასრულების შედეგად ბიპოლარული საერთაშორისო სისტემა მულტიპოლარული გახდა, რაც გერმანული საგარეო პოლიტიკისთვის დამატებით გამოწვევას წარმოადგენდა. პირველ რიგში საგარეო პოლიტიკური ვექტორების ორიენტირების საკითხში. რადგან მოულოდნელად გერმანია - ქვეყანა, რომელმაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და დამარცხების შემდეგ გახდა ორად გაყოფილი მსოფლიოს მთავარი წყალგამყოფი, მოულოდნელად ევროპის კონსოლიდაციის პროცესის მთავარი შემოქმედის როლი დაეკისრა.

გარდა ამისა 1994 წელს ბოლო საბჭოთა (რუსმა) ჯარისკაცმა დატოვა გერმანიის ტერიტორია, რაც უპირველეს ყოვლისა აღმოსავლეთიდან საფრთხის გაქრობას და ევროპული ინტეგრაციის ახალი ეტაპის დაწყებას მოასწავებდა. რადგან ევროპის ინტეგრაციის პროცესის გაგრძელება პირველ რიგში გერმანიის ინტერესებში შედიოდა.

* მიხეილ სარჯველაძე - კიოლნის უნივერსიტეტის დოქტორანტი

უპირველეს მიზანს გერმანიის ევროპული უსაფრთხოების სივრცის გეოგრაფიულ შუაგულში მოხვედრას ითვალისწინებდა. სწორედ ამიტომ აღნიშნავდა გერმანიის მაშინდელი კანცლერი ჰელმუტ კოლი 1994 წლის Weizbuch-ში, რომ ცივი ომის შემდგომი დრამატული ცვლილებები გერმანიისთვის ერთის მხრივ უცნობ რისკებს, მაგრამ ასევე უზარმაზარ შესაძლებლობებს შეიცავდნენ.¹

ახალი ეპოქა მართლაც დაიწყო სუვერენული და გაერთიანებული გერმანიისთვის, რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას, თუმცა პარალელურად ხელს უწყობდა დასავლეთს და რუსეთს შორის ურთიერთობების პოზიტიურად განვითარებას. ამის გამო მას რუსეთის ადვოკატსაც უწოდებდნენ.

დღევანდელი მდგომარეობით ევროკავშირის და ნატოს გაფართოების შედეგად ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცის შუაგულში მოქცეული გერმანია 90-იანი წლების გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. სწორედ აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია იყო გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტი 90-იან წლებში, რაც მაშინდელი პოლიტიკური ელიტისთვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში იმედგაცრუების მიზეზი გახდა. იმედგაცრუების რადგან არსებობდა მოლოდინი, რომ გაერთიანებული გერმანია გერმანიის იმპერიის მსგავსად ისე როგორც 1917-1918 წლებში კავკასიაში პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას შეეცდებოდა. ეს იყო ისტორიის მითოლოგიზირება, რომელსაც მაშინდელი გერმანიის რეალპოლიტიკურ გამოწვევებთან მიმართებაში რეალობის შეგრძნებას იყო მოკლებული.

გაერთიანების შემდგომ მეორე, 2006 წლის Weizbuch-ის გამოცემა დაკავშირებული იყო ბუნდესვერის მნიშვნელობის გაზრდასთან. ბუნდესვერი, რომელიც გაერთიანების შემდეგ აქტიურად ჩაერთო პირველ რიგში გაეროს და ნატოს მისიებში (თურქეთი, ერაყი, კამბოჯა, სომალია, იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, და ა.შ.) გერმანიის საგარეო პოლიტიკის ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი გახდა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად დაეხმარა გერმანიას საერთაშორისო არენაზე ნდობის მოპოვების საკითხში. პარალელურად გერმანია

აწარმოებდა ე.წ. ჩეკის წიგნაკის დიპლომატიას, რაც ცალკეული ინსტიტუციების აქტივობებში ფინანსური მონაწილეობით საგარეო ზეგავლენის გაზრდას გულისხმობს. ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი იყო მეორე ომი სპარსეთის ყურეში, რომლის მსვლელობისას 1991 წელს გერმანიამ საერთაშორისო კოალიციის ჩართვის შედეგად წარმოქმნილი ხარჯების დიდი ნაწილი დააფინანსა (საერთო ხარჯები დაახლოებით 61 მილიარდი ამერიკული დოლარი, გერმანიის წილი დაახლოებით 18 მილიარდი გერმანული მარკა).² საერთაშორისო ოპერაციებში ფინანსური მონაწილეობის გარდა, გერმანიამ აქტიურად დაიწყო განვითარების პოლიტიკის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოყენება.

2001 წლის თერთმეტი სექტემბერის შემდეგ გერმანია აქტიურად მონაწილეობდა ISAF-ის მისიაში. შესაბამისად გერმანიის გაერთიანებიდან 2006 წლამდე გერმანიის საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა ერთმნიშვნელოვნად გაიზარდა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გერმანიის მიერ უარის თქმა 2003 წელს ერაყის ომში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შექმნილ კოალიციაში მონაწილეობის მიღებაზე, რომელიც გაეროს მანდატის გარეშე მოქმედებდა.³

გერმანიისადმი ნდობის და თავად ქვეყნის პოლიტიკური წინის გაზრდასთან ერთად გაიზარდა მოლოდინი უფრო მეტი პასუხისმგებლობის აღებისა. გარდა ამისა 2007 წლის იანვრიდან გერმანიას ევროპის საბჭოს პრეზიდენტობა და ოდნავ მოგვიანებით დიდი რვიანის თავმჯდომარეობა ელოდებოდა. 2006 წლის დოკუმენტში ტერორიზმი, რეგიონალური კონფლიქტები მითითებულია როგორც გლობალური ეკონომიკური კავშირების და ვაჭრობის შემაფერხებელი ფაქტორები, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ არამხოლოდ ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცისთვის, არამედ კონკრეტულად გერმანიის ეკონომიკისთვის, რადგან ისინი აფერხებენ შეუფერხებელ სავაჭრო ურთიერთობებს და (ენერჯო)რესურსების მობილურობას. შემთხვევით არ ახსენა 2006 წელს გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ფრანც იოზეფ იუნგმა კავკასიაში ბუნდესვერის აქტივობა, როგორც გერმანიის უსაფრთხოების პოლიტიკის ინტერესების და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური რეპუტაციის გაზრდის დაცვა და წინაპირობა.⁴ იუნგი გულისხმობდა UOMIG-ის მისიას, რომელიც გაეროს სადამკვირვებლო მისიას წარმოადგენდა 1993 წლიდან აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას

და საქართველოს შორის ზავის და ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო მისიის მონიტორინგის მიზნით (UN-OMIG-ი 2009 წელს დასრულდა რუსეთის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს გამოყენების შედეგად).

2016 წლის Weißbuch-ი

2016 წლის Weissbuch-ის მნიშვნელობას თავად გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აღნიშნავს დოკუმენტის წინასიტყვაობაში. ის უპირველეს ყოვლის იმ ორ ძირითად მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც გერმანიის უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. კანცლერის სიტყვებით ბოლო წლებში საქმე გვაქვს ცვლილებებთან, რომლებიც 21-ე საუკუნის ევროპაში მანამდე ფაქტიურად წარმოუდგენელი იყო:

- ევროპაში (უკრაინაში) საზღვრების საერთაშორისო სამართლის დარღვევით და სამხედრო ძალის გამოყენებით საზღვრების გადაწევა
- ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სახელმწიფოთა დაშლის პროცესი და ისლამისტური ტერორიზმი⁵

საინტერესოა, რატომ ვერ მოხვდა საქართველო და რუსეთის საოკუპაციო პოლიტიკა გერმანული აღქმის არეალში, როცა საქმე 21-ე საუკუნეში სამხედრო ძალის გამოყენებით და საერთაშორისო სამართლის იგნორირებით საზღვრების დარღვევას და გადაწევას ეხება? ალბათ იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიული კონფლიქტების თემა ლტოლვილთა კრიზისის და უკრაინის ომის ჩრდილში მოხვდა და საგარეო პოლიტიკურ დონეზე რუსეთ-საქართველოს შორის მეთნაკლებად მშვიდი კომუნიკაციის ფარგლებში, გერმანიისთვის არსებული სტატუს-ქვო მისაღებია და მეორეხარისხოვანი თუკი უკრაინის ომის მნიშვნელობას შევადარებთ ევროპულ კონტექსტში.

მერკელი, ისევე როგორც გერმანიის თავდაცვის მინისტრი ურსულა ფონ დერ ლაიენი 2016 წლის დოკუმენტში ყურადღებას ამახვილებს გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ორ უმთავრეს ვექტორზე: ნატოზე და ევროკავშირზე, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობაზე გლობალური უსაფრთხოების

გარანტირების თვალთაზრისით. ფაქტია, რომ გერმანიის სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში, საერთაშორისო მისიებში საქართველოს მონაწილეობის განგრძობადობა წარმოადგენს იმ მსხვერპლს, რომლის ფასად ოდესღაც გერმანია იგრძნობს საკუთარ მორალურ პასუხისმგებლობას. თუმცა რადგან საერთაშორისო ურთიერთობებს, როგორც წესი არა მორალი არამედ რეალპოლიტიკური ინტერესები განსაზღვრავს, გერმანიისთვის ევროპულ-რუსული კრიზისის ფონზე რუსეთის ფაქტორი მომავალშიც დიდ როლს ითამაშებს. მითუმეტეს მაშინ როცა რუსეთი ასადის რეჟიმის დახმარებით კიდევ უფრო ამყარებს საკუთარ პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში და ცდილობს ხაზი გაუსვას საკუთარ მნიშვნელობას ე.წ. ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლის ასპექტში. ისლამისტური ტერორი კი პირდაპირ შეეხებას ევროპულ უსაფრთხოებასთან, რაზეც ლტოლვილების რაოდენობა და ევროპაში ტერაქტების რაოდენობის ზრდაც მიუთითებს.

2016 წლის დოკუმენტის ძირითადი ასპექტები

Weißbuch-ში ჩამოთვლილი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნებიდან აღსანიშნავია ორი მათგანი: 1) ევროპული ინტეგრაციის გაღრმავება და 2) ტრანსატლანტიკური პარტნიორობის განმტკიცება. გერმანიაში მემარჯვენე პოპულისტური ძალების გაძლიერებამ („ალტერნატივა გერმანიისთვის“) პოლიტიკური სპექტრის ნაწილი საშინაო პოლიტიკური მიზნებიდან (ამომრჩეველთა განწყობა) გამომდინარე სკეპტიკურად განაწყობის ევროკავშირთან დაახლოებასთან მიმართებაში, როგორც საქართველოა. ვიზალიბერალიზაციის პროცესის ფარგლებში კარგად გამოჩნდა გერმანული პოლიტიკოსების ნაწილის ეს სკეპტიციზმი, რომელიც ფაქტიურად მხოლოდ შიდაპოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული.

რაც შეეხება ზოგადად საქართველოსთვის მნიშვნელოვან ასპექტებს, რომლებსაც 2016 წლის დოკუმენტი შეიცავს, ყურადსაღებია გერმანიის შიში რუსეთის მიერ ევროატლანტიკური უსაფრთხოების წესრიგის დარღვევის საშიშროებასთან კავშირში. მშვიდობას ევროპაში, როგორც ნატოს და ევროკავშირის არსებობის უმთავრეს მონაპოვარს

Weißbuch-ის მიხედვით რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომით ღიად დაემუქრა საფრთხე. რუსეთი, როგორც საფრთხის წყარო უკრაინის ომით ფაქტიურად უარს ამბობს დასავლეთთან პარტნიორულ ურთიერთობაზე და ამჯობინებს სტრატეგიულ დაპირისპირებას, ცივი ომის სტილში. გერმანიის მიერ რუსეთის როლის, როგორც აგრესორის და ევროპული უსაფრთხოების წესრიგისთვის საფრთხის შემქნელის დაფიქსირება ქვეყნის უმთავრეს სტრატეგიულ დოკუმენტში, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რუსეთისგან მომდინარე საფრთხე გერმანიის პოლიტიკური წრეებისთვის კიდევ უფრო ცხადი გახდა.

უფრო რეალური გახდა სცენარი, რომ შესაძლოა იგივე მოხდეს ბალტიისპირეთის ან ნატოს სხვა აღმოსავლეთ ევროპულ წევრებთან მიმართებაში. დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ნატოს სხვა წევრების მიმართ სოლიდარობა (თავდასხმის შემთხვევაში) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრესი ქვაკუთხედაა, რომელზეც დამყარებულია თავად გერმანიის უსაფრთხოება, რამეთუ მისი წინაპირობა და გარანტი ფუნქციონირებადი ნატოს წევრობაა.

ევროპის უსაფრთხოების წესრიგის კონტექსტში რუსეთის გარდა საუბარია ორ სხვა მნიშვნელოვან ასპექტზე:

- საერთაშორისო ტერორიზმი და ტერორისტული ორგანიზაციები

გერმანიისთვის და არამხოლოდ გერმანიისთვის, არამედ ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებულ პრობლემასსირიიდან დაერაყიდან დაბრუნებული მოქალაქეები წარმოადგენენ, რომლებიც იზიარებენ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიას და ხშირ შემთხვევებში საბრძოლო ტრენინგებში და მოქმედებებშიც მიუღიათ მონაწილეობა. გერმანიაში რამდენიმე ასეული ადამიანი დაბრუნდა (500-მდე) აღნიშნული ქვეყნებიდან. ამ ასპექტს დაემატა ლტოლვილების დიდი ნაკადი (დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი), რომელთა შორის ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერებიც იმყოფებიან.

- მეორე მნიშვნელოვან საფრთხედ სახელდება ომი ინტერნეტში

თავდასხმა ცალკეული სახელმწიფოებზე სხვა

სახელმწიფოების მიერ ინტერნეტსივრცეში დიდი ხანია რეალობაა, რომლის მიზანი გარდა შპიონაჟისა პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო სფეროებში, სახელმწიფო ინსტიტუციების პარალიზებაა

აღსანიშნავია, რომ ორივე აღნიშნული საფრთხის შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია საკმაოდ დიდ როლს თამაშობს გერმანული პერსპექტივიდან. გარდა იმისა, რომ რუსეთი ახლო აღმოსავლეთში, უკრაინაში დაწყებული ომით დაზიანებული იმიჯის კომპენსირებას და საკუთარი თავის მნიშვნელოვნად წარმოჩენას ცდილობს, რეალურად ასადის დიქტატორულ რეჟიმს ეხმარება ე.წ. აჯანყებულების და არა ე.წ. ისლამური სახელმწიფო წინააღმდეგ ბრძოლაში. შესაბამისად კრემლი ასე კიდევ უფრო მეტ ადამიანს აიძულებს დატოვოს ახლო აღმოსავლეთი ევროპის მიმართულებით. გერმანიის სპეცსამსახურების აზრით რუსეთი ბოლო ხანებში ინტერნეტ სივრცეში საინფორმაციო ომს აწარმოებს, თავს ესხმის გერმანულ ინსტიტუციებს და ეწევა არამხოლოდ შპიონაჟს, არამედ იყო საბოტაჟის მცდელობებიც.⁵

გერმანიის სამომავლო როლი ნატოში და ევროკავშირში

Weissbuch-ს ლაიტმოტივად გასდევს გერმანიის საგარეო და საფრთხოების პოლიტიკის ძირითადი ვექტორების ნატოს და ევროკავშირის, როგორც ფუნქციონირებადი ინსტიტუციების მნიშვნელობა აღნიშნული გაერთიანების წევრ ქვეყნებში მშვიდობიანი განვითარებისთვის. ნატოს შემთხვევაში კოლექტიური უსაფრთხოება გერმანული პერსპექტივიდან არის ის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნებისთვის მათ შორის გერმანიისთვის უსაფრთხოების გარანტიაა. რაც შეეხება ნატოს კოოპერაციას არაწევრ ქვეყნებთან, გერმანია მხარს უჭერს პარტნიორობის გაღრმავებას და ნატოსთან ინდივიდუალური პარტიორობის მქონე ქვეყნების ნატოსთან კიდევ უფრო დაახლოებას.

პარალელურად გერმანია ყოველთვის ცდილობდა ნატოს და იმ ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რომლებიც ნატოს მიმართ რთული დამოკიდებულებით გამოირჩევიან. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება რუსეთს და გერმანია იყო ის ქვეყანა, რომელმაც ნატო-რუსეთის საბჭოს შექმნაში მნიშვნელოვანი

წვლილი შეიტანა. შესაბამისად გერმანია მომავალში აქტიურად შეეცდება ხელი შეუწყოს რუსეთს და ნატოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებას. რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული ომის გამო ნატომ პარალელურად უნდა გააძლიეროს ე.წ. „შეკავების და თავდაცვის პოლიტიკა“. გერმანია სამომავლოდ შეეცდება გააძლიეროს ნატოს ევროპული ვექტორი, რომლის გაძლიერებაც ევროპული ქვეყნებისგან უფრო მეტი პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს. ევროკავშირის, როგორც უსაფრთხოების მეორე მნიშვნელოვანი ვექტორის გაფართოების თემა გერმანიისთვის უკრაინის კრიზისის შედეგად არ დასრულებულა. პირიქით Weißbuch-ში განსაკუთრებითაა აღნიშნული, რომ ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა ბევრი ქვეყნისთვის სტაბილურობის განსაზღვრელი გახდა და ამიტომ აუცილებელია, რომ ევროკავშირის კარი ღია დარჩეს. ამ მიმართულებით ხელშეკრულებები ასოცირების, პარტნიორობის, თავისუფალი ვაჭრობის, სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ძირითადად, ეფექტურ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ, რომელთა გამოყენებას გერმანია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მტკიცედ უჭერს მხარს.⁷

გერმანიის ახალი როლი?

2016 წლის Weißbuch-ში ცხადად ჩანს გერმანიის მიერ საკუთარი მნიშვნელობის მნიშვნელოვანი ზრდა ევროპული და საერთაშორისო პოლიტიკის არენაზე გააზრება. ის რომ გერმანია მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა, გერმანიისთვის ერთის მხრივ პოზიტიური მოვლენაა, რადგან გერმანიის საგარეო პოლიტიკა 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა გამხდარიყო სუვერენული. შესაბამისად 2016 წლის დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ გერმანია მზადაა საერთაშორისო ჩარჩოების ფარგლებში თავის თავზე აიღოს ლიდერი სახელმწიფოს ფუნქცია. არგუმენტად გერმანული მხარე ასახელებს საერთაშორისო მისიებს, რომელთა ფარგლებში გერმანია ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს წარმოადგენს ფინანსური და ადამიანური რესურსის თვალთაზრისით. ჯერ კიდევ 2014 წელს შენიშნა გერმანიის პრეზიდენტმა იოახიმ გაუკმა, რომ გერმანიამ მისი მდგომარეობიდან გამომდინარე უფრო მეტი საგარეო პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღოს თავის თავზე.⁸

ექსპერტების, მათ შორის Chatham House-ის

დირექტორის ნორბერტ ნიბლეტის აზრით გერმანია იმ სუპერ-სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, საშუალო სიდიდის ძალას წარმოადგენს. თუმცა რამდენადაც პოზიტიურია პოლიტიკური წონის გაზრდა საერთაშორისო არენაზე გერმანიისთვის, იმდენად სიფრთხილით ხდება მნიშვნელობის ზრდის აღქმა გერმანული პოლიტიკური სპექტრის მიერ. გერმანული პოლიტიკური ელიტებისთვის ცხადია, რომ ზეგავლენის გაზრდასთან ერთად იზრდება გერმანიის პასუხისმგებლობაც. შესაბამისად გერმანიის საგარეო პოლიტიკამ როგორღაც უნდა მოახერხოს ჰარმონიზაცია აღნიშნულ ცვლილებებთან მიმართებაში. გერმანია ცდილობს მოირგოს ახალი როლი, რომელშიც თავს ისტორიიდან გამომდინარე ჯერჯერობით უხერხულად გრძნობს. თუმცა გერმანიის თავდაცვის მინისტრის ურსულა ფონ დერ ლაიენის სიტყვები „საკუთარ მნიშვნელობას იმაზე მეტად რაც ვართ არ დავაკნინებთ“⁹ გარკვეულწილად იმ ფაქტის აღიარებაა, რომ გერმანია ევროპის კონტინენტზე ყველაზე მძიმეწონიანი პოლიტიკური მოთამაშეა, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი გამორჩეული პოზიცია, როგორც ევროკავშირის ასევე ნატოს ფარგლებში.

უკრაინაში ომმა ცხადი გახდა გერმანიისთვის, რომ რუსეთის მიერ დაწყებული დესტაბილიზაციის პროცესი საფრთხეს წარმოადგენდა ევროპული უსაფრთხოების წესრიგისთვის. გერმანია - ქვეყანა, რომელმაც ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროპაში რუსეთის ადვოკატის როლი მოირგო და რუსეთთან დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია აიღო საკუთარ თავზე, თავად გახდა რუსული თავდასხმის მსხვერპლი. მართალია ამ შემთხვევაში საქმე ვებ-სივრცეში თავდასხმას ეხებოდა, მაგრამ 2016 წლის გაზაფხულზე გერმანიის კონსტიტუციური უსაფრთხოების სამსახურის (Verfassungsschutz) ხელმძღვანელმა ჰანს-გეორგ მაასენმა ღიად განაცხადა, რომ გერმანია რუსული სპეცსამსახურების თავდასხმის ობიექტია და რომ ვებ-სივრცეში რუსეთი ჰიბრიდულ ომს აწარმოებს, მათ შორის გერმანიის წინააღმდეგ. თავდასხმა განხორციელდა გერმანიის პარლამენტზე, ასევე გერმანიის მთავრობაზე და კანცლერის პარტიულ ოფისზე. მაასენის თქმით ცალკეული თავდასხმების ხანგრძლივობა 7 დან 11 წლამდე პერიოდს მოიცავდა.¹⁰

უკრაინის ომის პარალელურად, საგრძნობლად გაიზარდა ბალტიისპირეთის სახელმწიფოების შიში თავდასხმასთან დაკავშირებით, ისევე როგორც

სხვა აღმოსავლეთ ევროპელი წევრების, რომელთა უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა ნატოს წევრობიდან გამომდინარე ეხება გერმანიის უსაფრთხოებასაც. გერმანიამ პირველ რიგში ეკონომიკური სიძლიერიდან გამომდინარე შეძლო გაეზარდა საკუთარი მნიშვნელობა საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში. რუსეთის მიერ თავდასხმა ნატოს რომელიმე აღმოსავლეთ ევროპელ წევრზე, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვნად დააზარალებს გერმანიის ეკონომიკას, გახდება ნატოს წესდების მეხუთე მუხლის ამოქმედების შემთხვევაში საფუძველი იმისა, რომ გერმანია ჩაებას რუსეთის წინააღმდეგ ომში. რაც გერმანული პერსპექტივიდან ყველაზე ცუდი სცენარია, რადგან სწორედ გერმანიას ის ქვეყანა, რომელიც უკვე 90-იანი წლებიდან ცდილობს ხელი შეუწყოს პარტნიორობას რუსეთს და ნატოს შორის, როგორც ევროპაში მშვიდობის საფუძველს. შესაბამისად გერმანია მზადაა აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ნატოს ევროპული ვექტორის გაძლიერებაში, ოღონდ საკუთარ, წამყვან პოზიციას გერმანიის საგარეო პოლიტიკური ხედვა, მხოლოდ მულტილატერალური ჩარჩოებში და არა ცალკე - განსაკუთრებით გამოკვეთილი ლიდერის როლში ხედავს.¹¹

გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის ამ ეტაპზე ორი უმთავრესი გამოწვევა გამოიკვეთა:

- 1) საერთაშორისო ტერორიზმი და მიმდინარე პროცესები ახლო აღმოსავლეთში
- 2) უკრაინის ომი. კრიზისი რუსეთს და დასავლეთს შორის და კრიზისის გადალახვის გზების ძიება

პირველ შემთხვევაში, რუსეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც ასადის მხარდამჭერი და როგორც დასავლეთის პოტენციური პარტნიორი ე.წ. ისლამური სახელმწიფოს და სხვა რეგიონში მყოფი ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესი პირდაპირ ეხება გერმანიის უსაფრთხოებას, გამომდინარე ლტოლვილთა იმ უზარმაზარი რაოდენობიდან, რომელმელთა დიდმა ნაწილმა აღნიშნული რეგიონის დატოვების შემდეგ თავი გერმანიის შეაფარა.

მეორე შემთხვევაში გერმანია სამომავლოდ შეეცდება ერთის მხრივ ნატოს წარმომადგენლობით გაძლიერებას ევროპაში ხელი შეუწყოს, რათა მოახდინოს რუსეთის შეკავება თავდასხმის

შემთხვევაში. თუმცა უფრო მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ მიზანს კრიზისი გადალახვა წარმოადგენს, რომელიც დასავლეთს და რუსეთს შორის უკრაინაში იმდინარე ომის და ყირიმის ანექსიის გამო შეიქმნა. გერმანიისთვის ევროპული უსაფრთხოების გარანტია შესაძლებელია მხოლოდ რუსეთთან პარტნიორული კომუნიკაციის ფარგლებში და სწორედ ამიტომ, გერმანიისთვის მისი ისტორიული ფუნქციის, როგორც ხიდის დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის შესრულება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გერმანიის პრაგმატული პოლიტიკური/ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ანექსირებული ყირიმი.

Weißbuch-ი და საქართველო

გერმანია საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი (თუ უმნიშვნელოვანესი არა) პარტნიორია ევროპაში. მართალია 2016 წლის დოკუმენტის ტექსტში სამხრეთ კავკასია ნახსენები არ არის, მაგრამ გერმანიის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ხაზგასმულია სტაბილურობის აუცილებლობა ევროატლანტიკური სივრცის მოსაზღვრე რეგიონებში. ასევე ნახსენებია ის ინსტრუმენტები, რომლებსაც ნატო და ევროკავშირი გამოიყენებენ საქართველოსთან მიმართებაში. მაგ. ინდივიდუალური პარტნიორობა, ასოცირების ხელშეკრულება, ვიზალიბერალიზაცია. რაც მთავარია, გერმანია მხარს უჭერს ამ ინსტრუმენტების გამოყენებას, რადგან ხანგრძლივ პერსპექტივაში ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებში ამ გზით შესაძლებელია დემოკრატიზაციის პროცესის დაჩქარება და სტაბილური გარემოს შექმნა.¹² თუმცა თუ თურქეთის მაგალითს ავიღებთ, როცა საქმე ევროკავშირში გაწევრიანებას ეხება, ცხადი ხდება, რომ პროცესის დროში გაწეულამ შესაძლოა საზოგადოებაში და პოლიტიკურ ელიტებში უკურეაქცია გამოიწვიოს. საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია ის რომ გერმანია კრიზისების მენეჯმენტს, განსაკუთრებით მოსაზღვრე რეგიონებში აღიქვამს, როგორც სტაბილურობისთვის საჭირო აუცილებელ ინსტრუმენტს, როგორც ნატოს, ასევე ევროკავშირის ფარგლებში (საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP). საგულისხმოა, რომ 2016 წლის Weißbuch-ის დასკვნაში გერმანიის უსაფრთხოების პოლიტიკის შორეულ მიზნად საერთო ევროპული უსაფრთხოების და თავდაცვის კავშირის შექმნაა

მითითებული.

გერმანიამ შეძლო უპირველეს ყოვლისა ფინანსური რესურსების და ბუნდესვერის საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით გამხდარიყო მოეპოვებინა მსოფლიო თანამეგობრობის ნდობა და პატივისცემა. გარდა ამისა გერმანია ჩამოყალიბდა ევროკავშირის ლიდერ სახელმწიფოდ, რომელიც თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას კოორდინაცია გაუწიოს საკითხებს, როგორცაა საბერძნეთის კრიზისი, ან ომი უკრაინაში და მოლაპარაკებები რუსეთთან. მას შემდეგ რაც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ვექტორმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადაინაცვლა და სანაცვლოდ ევროპასთან მიმართებაში საგრძობლად შესუსტდა, ევროპაში გაჩნდა გარკვეული ვაკუუმი თუნდაც უსაფრთხოების პოლიტიკის ასპექტში, რომლის შევსების პროცესის ხელმძღვანელობა ევროპელი ნატოს წევრი სახელმწიფოებისგან მხოლოდ გერმანიას შეუძლია მისი რესურსებისგან და პოზიციიდან გამომდინარე. ნატოს ევროპული ვექტორის გაძლიერება 2016 წლის დოკუმენტში ერთ-ერთ მთავარ მიზნადაა მითითებული. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლონეთში ნატოს მანევრ „ანაკონდასთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ ხმლის გაღვსვით ნატო კიდევ უფრო ამწვავებს სიტუაციას. მისი ეს წინადადება მიუთითებს გერმანიის პოლიტიკურ სპექტრში არსებულ ამრთა სხვადასხვაობაზე. შტაინმაიერი სოციალისტურ პარტიას წარმოადგენს, ისევე როგორც ყოფილი კანცლერი შროდერი. აღნიშნული პარტიის წარმომადგენლები რუსეთისადმი მეგობრული დამოკიდებულებით გამოირჩევიან. ამ ურთიერთობებით კი ყველაზე მეტად შროდერმა იხეირა, როცა პუტინის თხოვნის საფუძველზე კანცლერობის შემდეგ Nord Stream AG-s (აქციების 51%-ის მფლობელი გაბპრომი) მმართველი საბჭოს წევრი გახდა. გერმანიის პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილისთვის უკრაინის ომმა და თავდასხმათა სერიამ ვებსიგრცეში გერმანულ სახელმწიფო სტრუქტურებზე, ასევე აქტიურად წარმოებულმა საინფორმაციო ომმა გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ ცხადყო, რომ რუსეთი ევროპული უსაფრთხოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. თუმცა ამავდროულად გერმანია წარმოადგენს იმ ევროპულ სახელმწიფოს, რომელიც ხელმძღვანელობს მოლაპარაკებებს უკრაინის საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ფორსირებდა ლტოლვილებთან დაკავშირებულ

შეთანხმებას ევროკავშირს და თურქეთს შორის. ამჟამად ე.წ. ისლამური სახელმწიფოსგან მომდინარე საფრთხე და უკრაინაში ომი გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი გამოწვევებია, რომლებიც ახლო მომავალში არამხოლოდ გერმანიისთვის რუსეთთან ურთიერთობების დათბობის საჭიროებას იმ დონეზე წარმოშობს, რომ მასზე უარის თქმა მითუმეტეს რუსეთ-თურქეთის დაახლოების ფონზე, ფაქტიურად შეუძლებელი იქნება.

გერმანია სკეპტიკურადაა განწყობილი საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხში უპირველეს ყოვლისა რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, რაც გერმანიის, როგორც ევროპაშირუსეთის „ადვოკატის“ როლით, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციით, რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირებით და ახალი კონფლიქტური კერების წარმოქმნის საშიშროებითაა განპირობებული. მაგრამ საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების გზა გერმანიასთან ურთიერთობების გაღრმავებაზე გადის, რაც საჭირო მომენტში აუცილებლად იქნება შედეგიანი. პირველ რიგში რადგან გამომდინარე ევროპაში გერმანიის პოზიციის გამყარების მდგრადი პროცესისგან, რომელსაც ჯერ კიდევ 50-იან წლებში პირველმა კანცლერმა კონრად ადენაუერმა ჩაუყარა საფუძველი და რომელიც გერმანიის გაერთიანების შემდეგ შეუქცევადი გახდა, სამომავლოდ გერმანიის გავლენა სხვა ევროპულ სახელმწიფოებზე კიდევ უფრო გაიზრდება.

ბიბლიოგრაფია:

¹BUNDESMINISTERIUM FÜR VERTEIDIGUNG: WEISSBUCH ZUR SICHERHEIT DER BUNDESREPUBLIK DEUTSCHLAND UND ZUR LAGE UND ZUKUNFT DER BUNDESWEHR, 1994, S.2./ გერმანიის თავდაცვის სამინისტრო: WEISSBUCH-ი გერმანიის უსაფრთხოებაზე და ბუნდესვერის მდგომარეობასა და მომავალზე, 1994, გვ.2.

²გერმანიის პოლიტიკური განათლების ფედერალური სააგენტოს პუბლიკაცია: გერმანიის საგარეო პოლიტიკის ანალიზიგაერთიანების შემდეგ, 2002, ხელმისაწვდომია: [HTTP://WWW.BPB.DE/APUZ/25568/ZEHN-JAHRE-ALS-EURO-PAEISCHE-GROSSMACHT?P=ALL](http://www.bpb.de/apuz/25568/ZEHN-JAHRE-ALS-EURO-PAEISCHE-GROSSMACHT?P=ALL), ნანახია 15.07.2016.

³VON GUNTER HOFMANN, DER LANGE WEG ZUM LAUTEN NEIN, 23. JANUAR 2003, ხელმისაწვდომია: [HTTP://WWW.ZEIT.DE/2003/05/HOFMANN/](http://www.zeit.de/2003/05/HOFMANN/) ნანახია 20.07.2015

⁴BUNDESMINISTERIUM FÜR VERTEIDIGUNG: WEISSBUCH 2006 ZUR SICHERHEITSPOLITIK UND ZUR ZUKUNFT DER BUNDESWEHR. /გერმანიის თავდაცვის სამინისტრო: WEISSBUCH 2006. გერმანიის უსაფრთხოების პოლიტიკა და ბუნდესვერის მომავალი, 2006, გვ.4.

⁵BUNDESMINISTERIUM FÜR VERTEIDIGUNG: WEISSBUCH 2016, ხელმისაწვდომია: [HTTPS://WWW.BMVG.DE/PORTAL/A/BMVG/!UT/P/C4/04_SB8K8XLLM9MSSZPY8XBZ9CP3I5EYRPHK9PNYYDL3Y1MZI4QTS5AZ9GMXHRQBG2FTX/](https://www.bmvg.de/portal/a/bmvg/!UT/P/C4/04_SB8K8XLLM9MSSZPY8XBZ9CP3I5EYRPHK9PNYYDL3Y1MZI4QTS5AZ9GMXHRQBG2FTX/) გერმანიის თავდაცვის სამინისტრო: 2016 წლის WEISSBUCH-ი, გვ. 6, ნანახია 20.07.2016

⁶VERFASSUNGSSCHUTZ WARNT VOR ATTACKEN AUS RUSSLAND, 13 მაისი 2016, ხელმისაწვდომია:[HTTP://WWW.SPIEGEL.DE/NETZWELT/NETZPOLITIK/HANS-GEORG-MAASSEN-WARNT-VOR-CYBER-ANGRIFFEN-IN-RUSSLAND-A-1092238.HTML](http://www.spiegel.de/netzwelt/netzpolitik/hans-georg-maassen-warnt-vor-cyber-angriffen-in-russland-a-1092238.html) , ნანახია 27.07.2016

⁷გერმანიის თავდაცვის სამინისტრო: 2016 წლის WEISSBUCH-ი, გვ.69-74.

⁸KONRAD-ADENAUER-STIFTUNG: ANALYSEN UND FAKTEN, AUSGABE 194, 2015, S.2. / კონრად ადენაუერის ფონდი: ანალიზი და ფაქტები, 194-ე გამოცემა, 2015, გვ.2.

⁹MATTHIAS NASS, DEUTSCHLAND WILL NICHT GROSSMACHT SEIN, 18 თებერვალი 2016, ხელმისაწვდომია: [HTTP://WWW.ZEIT.DE/POLITIK/DEUTSCHLAND/2015-02/WEISSBUCH-SICHERHEITSPOLITIK-DEUTSCHLAND-GROSSMACHT](http://www.zeit.de/politik/deutschland/2015-02/weissbuch-sicherheitspolitik-deutschland-grossmacht) , ნანახია 02.08.2016

¹⁰ANGRIFFSZIEL DEUTSCHLAND, 13 მაისი 2016, ხელმისაწვდომია:[HTTPS://WWW.TAGESSCHAU.DE/INLAND/VERFASSUNGSSCHUTZ-WARNT-VOR-CYBERATTACKEN-AUS-RUSSLAND-101.HTML](https://www.tagesschau.de/inland/verfassungsschutz-warnt-vor-cyberattacken-aus-russland-101.html) , ნანახია 02.08.2016.

¹¹გერმანიის თავდაცვის სამინისტრო: 2016 წლის WEISSBUCH-ი, გვ.29-35.

¹²გერმანიის თავდაცვის სამინისტრო: 2016 წლის WEISSBUCH-ი, გვ.71.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური
ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს
საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების
გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას
პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge